მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| | 1 წ. | 6 თ. | | 3 თ. | | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| თბილისში. | 5 | 2 | 50 | 1 | 25 | — | 50 |
| თბილ. გარ. | 6 | 3 | — | 2 | — | — | 60 |
| საზღ. გარ. | 10 | 5 | — | 3 | 50 | — | 1 |


შინაარსი:


1) ამნისტია. 2) ფელეტონი: ანარქია. 3) უნგრეთის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციები ვენაში. 4) მატეო მორრალესი და ისპანიის ანარქისტები. 5) ახალი ამბები. 6) წერილი რედაქციის მიმართ. 7) დეპეშები.



რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ადრესი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 17.

№ 6 კვირა 11 ივნისი 1906 წ. თბილისი № 6


## ამნისტია.

რა არის ამნისტია? ამნისტია ისეთი პოლიტიკური აქტია, რომელიც შედეგია სოციალური ბრძოლის; ის ისტორიული მოვლენაა, რომლითაც გამარჯვებული ისტორიულ გინვითარების მსვლელობაში მიუტევებს დაძლეულთ ისტორიულ, საზოგადოებრივ დანაშაულს. ამნისტია პოლიტიკური პატიებაა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის, პატიება, რომელიც უნდა მოჰყვეს ბრძოლას როგორც შედეგს, რადგან თვით ბრძოლის დროს ამნისტია შეუძლებელია თვით ბრძოლის ბუნებით, რომელიც პირ-და-პირი უარის ყოფაა ყველა-გვარ პატიების. მაშასადამე, რადგან ადამიენთა ისტორია არის დღემდის განუწყვეტელი ბრძოლა ბატონების და ყმების, მმართველთა და მართულთ, მჩაგვრელთა და ჩაგრულთ შორის, ამიტომ ისტორიამ ამნისტია არ იცის. განვიხილოთ ეხლა თვით ისტორიული განვითარება საზოგადოებრივი ბრძოლისა და ცხადად დავინახავთ სიმართლეს იმ აზრისას, რომლითაც ისტორიამ ამნისტია არ იცის და იმასაც არის თუ არა და როდის არის შესაძლებელი ამნისტია.

მას შემდეგ რაც უხსოვარი დროიდგან ადამიანთა ჯგუფებს შორის ბრძოლა ჯგუფს გარედ, ერთი მეორეში გადატანილ იქმნა ჯგუფის გარედგან თვით ჯგუფში და აშკარად იქმნა დარღვეული პრინციპი კავშირისა ასსოციაციისა, კოოპერაციისა თვით კავშირების გულში იმათ სასარგებლოთ, ვინც დაჩვეული, მტაცებლობას კავშირს გარედ, შემოიღო მტაცებლობა თვით იმ ჯგუფშიც, რომელსაც ის ეკუთვნოდა, აი, ამის შემდეგ უხსოვარი დროიდგან მოკიდებული საზოგადოება გაყოფილია ორ მტრულ დიდ ბანაკად: ერთის მხრით ექსპლოატატორები ყოველ-გვარ ჯიშისა და მეორე მხრით ყოველ-მხრითვე დაჩაგრული ხალხი.

იმ ორ ერთი მეორის წინააღმდეგ ამხედრებულ სოციალურ ჯგუფების შორის მუდამ გაჩაღებულია ან ცხადი, ან იდუმალი, დაფარული ბრძოლა, ბრძოლა ყოველ შემთხვევაში განუწყვეტელი. რამოდენად დიდია სიშორე, გზა ერთი ჯგუფის გულიდგან მეორე ჯგუფის გულამდი, იმოდენად დიდია ანტაგონიზმი მათ შორის, რამოდენად მოკლეა ეს გზა ჯგუფებს, ცენტრებს შორის იმოდენად ნაკლებია ანტაგონიზმიც, ასე რომ თავის პერიფერიების, კიდეების იმ წერტილებში, სადაც ისინი ეხებიან ერთმანეთს, ჯგუფების, ცენტრების შორის თითქმის არავითარი ანტაგონიზმი არ არსებობს, ე. ი. რამოდენად ერთი ჯგუფის კონცენტრიული წრეები უახლოვდებიან მეორე ჯგუფის ამგვარსავე წრეებს იმოდენათ ბრძოლა მათ შორის სუსტია.

აი ამგვარია დაახლოვებით პრინციპი საზოგადოებრივი კოწიაწისა საზოგადოებრივი ურთიერთობისა.

როდესაც ერთი მხრით საზოგადოებაში კავშირი მიმართულია თავისი წევრების ცხოვრების გასაადვილებლად, გასავითარებლად და მეორე მხრით კავშირს საერთოთ მოელის გარედგან რამე საფრთხე, მაშინ, რასაკვირველია, ბუნებრივია შეტაკება ამ ორ წინააღმდეგ ძალების შორის. მთელი კაცობრიობის ისტორია არის განუწყვეტელი ბრძოლა ამ ორ წინააღმდეგ ძალების შორის.

ეს იყო მიზეზი, რომის იმპერიის დანგრევის, ეს იყო მიზეზი აღმოსავლეთის სახელმწიფოების დანგრევის, ეს იყო მიზეზი ყველა რევოლიუციების და ეს იქმნება მიზეზი მომავალი რევოლიუციებისა.

როგორი იყო ერთი მხრით სპარტაკის დროის რომაელთა ცხოვრება?

ერთი მხრით ვხედავთ ჩვენ გაამაყებულ და გარეშე მტრებზე გამარჯვებულ რომაელებს, რომლებიც ბრუნდებოდნენ ომის ველიდგან უთვალავი ტყვეებით დ ნადავლით. ისინი ვინც უმეტეს ტყვეებს დ ნადავლს მიითვისებდა სცხოვრობდენ ფუფუნებაში. ამუშავებდნენ მონებად გადაქცეულ თავისუფალ ადამიანებს უფასოდ და პირუტყვივით თავიანთ მამულებში; ისეთებს კი, რომლებიც ღონიერები და მარჯვეები იყვნენ ასწავლიდენ იარაღის ხმარებას და, როდესაც სისხლის ღვრას შეჩვეული რომის ხალხი მოისურვებდა ადამიანის სისხლის ნიაღვრის ცქერით დატკბობას, გამოიყვანდენ ტყვეებს საგანგებოთ ამისთვის აგებულ ამფიტეატრებში, სადაც ეს ტყვეები, გლადიატორები, უნდა დარეოდენ ერთი მეორეს იარაღით და დაეხოცათ ერთი მეორე ამ გვარი იყო ხვედრი იმათი, ვისაც არ გაიღიმებდა ბედი თავის ქვეჩნის, ოჯახის, სახლის და კარის დაცვის დროს, ომში არ მოკვდებოდა და ცოცხლად ჩაუვარდებოდა მტრებს ხელში. ამ გვარივე იყო ხვედრი მრავალ თვით რომაელ მოქალაქეთა, რომლებიც ომის გამო ვერ მუშაობდნენ თავიანთ მინდვრებში და დაბრუნებისას ხვდებოდათ უპატრონობისაგან განადგურებული გავერანებული ოჯახი და მეურნეობა; რის გამო იძულებულნი ხდებოდნენ ჩავარდნოდენ ხელში მევახშეებს, რომლებსაც რომის კანონი აძლევდა უფლებას: თავისუფალი ადამიანი გადაექცია მონად ვალის გადაუხდელობისათვის. ამ გვარად უცხოელ მონებს ემატებოდა ადგილობრივი მონებიც. მაგრამ ადამიანს თავისუფლება, რომელიც უწინ ჰქონდა, არა თუ არ ავიწყდება, არამედ უფრო და უფრო მიუცილებლად მოესურვება, იმოდენად რამოდენათაც უარყოფილი იქნება ის მისთვის. ისინი ხედვიდნენ, რომ თავისუფალი უწინ, ეხლა პირუტყვის ადგილას იყვნენ მიჩნეული. ხედვიდენ რომ მათი მუშაობის წყალობით მათი გამარჯვებული ბატონები განცხრომით ცხოვრობდხენ მაშინ, როდესაც ისინი, არა თუ პირუტყვსავით მუდამ მომუშავე არაფრის მქონე, არ იყვნენ, არამედ ყოველ ადამიანურ ღირსებასაც მოკლებულნი იყვნენ. თუ ვინმე გაბედვიდა და აჯანყებას დაიწყებდა ამ საზოგადოებრივი უსამართლობის წინააღმდეგ, ისეთი სისასტიკით იქნებოდა დასჯილი, რომელსაც ვერც კი გადაურჩებოდა ადვილად. ისინი ხედვიდნენ, რომ თავისი უკეთესი ამხანაგები ჯერ ვარჯიშობდნენ იარაღით, რათა შემდეგ კარგი გლადიატორები დამდგარიყვნენ და ბატონების გასართობათ დაეხოცათ ისევ თავიანთი შეჩვეული ამხანაგები დიკტატორების და ჯარის უფროსების ბრძანებით საზოგადო გასართობ შენობებში.

ამ დროს გამოჩნდა გლადიატორი სპარტაკი, რომელმაც ისარგებლა გლადიატორების სულის მდგომარეობით და თავისი დიადი სულის და ბუნების საშვალებით დაიწყო ის უზარმაზარი ბრძოლა, რომელსაც რომის ისტორიაში, თავისუფლებისათვის ბძროლაში უჭირავს უდიდესი ადგილი. მიუხედავად მრავალი გამარჯვებისა, რომელიც პირდაპირი შედეგი იყო სოლიდარობისა, თანასწორობისა აჯანყებულთ შორის, სპარტაკი დამარცხებულ იქმნა იმიტომ, რომ თანასწორობა და ნამდვილი თავისუფლებისკენ მისწრაფება, რომელიც საფუძვლად ედვა დასაწყისს მთელ მოძრაობას, ბოლოს შეირყვნა და დაირღვა, რადგან თვით მოძრაობის წევრებში იყო ისეთი საზოგადოებრივი მისწრაფებანი, რომელსაც ჰქონდა ნათესაობა იმასთან, რასაც მოძრაობა ებრძოდა. თვით მოძრაობა არ იყო რადიკალურად მიმართული იმის დასამხობათ, რასაც ის ებრძოდა. მოძრაობა დამარცხდა. დამონებულ ხალხს ისევ დასჭირდა ბრძოლის გაგრძელება.

ასეთი ბედი ეწვია ქრისტიანიზმსაც, რომელიც სათავეში რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივ ავტორიტეტს, მაგრამ ამასაც შეეპარა შით გარეგანი ავტორიტარული ელემენტები, რომელმაც მიიყვანა სიკოტრემდის, რომლის ვაბატონების შემდეგ დაჩაგრულ ხალხს მაინც არა ეშველა რა და წინააღმდეგ ამისა უფრო შეუწყო ხელი ჩაგრულთა ჩაგვრას და გათახსირებას. ასეთი იყო ბედი იტალიის აღორძინების ეპოქის, რომელიც პირველად რადიკალურად დაეტაკა ავტორიტეტს და შემდეგ კი დამთავრდა ბურჟუაზიულ ტენდენციების გამარჯვებით. ასეთი იყო რეფორმაციაც, რომელიც აგრეთვე რადიკალურად დაეტაკა ეკლესიის ავტორიტეტს და შემდეგ დამთავრდა ლიუტერის პროტესტანტიზმით, რომელმაც ძველი ავტორიტეტის მაგივრად დაამყარა ახალი.

როგორი იყო ხალხის ცხოვრება დიდი რევოლიუციის წინ?

მთელი საფრანგეთის გლეხობა ჩაფლული იყო უღრმეს სიღატაკეში და სიველურეში. ისინი დაკარგული იყვნენ ერთი მეორესთვის უგზოუკვლობის გამო, წელებზე ფეხებს იდგამდენ გამუდმებული მუშაობით და აუტანელი ნაკლებობით. თუ ვინმეს მოუვიდოდა თავში სულელური, აზრი, აჯანყებულიყო წურ-

ბლების წინააღმდეგ, მაშინ არ ზოგავდენ მას და მიუსევდენ ჯარს, როგორც ნადირს და ჟლეტდენ უიარაღო ხალხს. რას შვრებოდა ბურჟუაზია? არაფერს, ის თავისი სიმხდლით ვერ ჰბედავდა ვერაფერს, მაშინაც კი როდესაც აგიტატორები და მათი ჩამორჩომა გამრავლდა. ბურჟუაზია მლიქვნელობდა და სამად იკეცებოდა წელში მეფის და მისი „ნახლებნიკების“ წინაშე, ფეოდალების საყვარლების და მათი მოსამსახურეების წინაშე. რას შვრებოდა ამ დროს გლეხობა?

1788—1789, მთელი ერთი წელიწადი გლეხების განუწყვეტელი აჯანყების წელიწადია. აჯანყება, უფრო და უფრო ვრცელდება, უფრო და უფრო მძაფრი და მედგარია. რას შვრება ამ დროს ბურჟუაზია? კიდევ არაფერს.

1789 წელს ხალხი უკვე აღარ კმაყოფილდება პალიატივებს, ის ცდილობს განთავისუფლდეს არა მარტო არისტოკრატიის გარყვნილი ხელებისაგან, არამედ, სასულიერო წოდებისაგან, კერძო მესაკუთრისაგან—ბურჟუასაგან; ფანრების სვეტს ამშვენებს ხარჯის ამკრებლების გვამები; რას შვრება ბურჟუაზია? არაფერს. ეს მომავალი გმირები მაშინდელი რევოლიუციის ისე, როგორც დღეს კადეტები და სოციალ-დემოკრატია, ცდილობენ ჩააცხრონ რევოლიუცია, აჯანყება პალიატივებით, რაღაც ნამცეცებით საზოგადოების მდიდარი სუფრიდან. რას შვრება ხალხი?

რას და მიდის წინ მიუხედავად გამრყვნელებისა.

რევოლიუციონური უმცირესობა, შავი ხალხი თავის სამართლიანობით გულ-გამაგრებული მიდის წინ განმათავისუფლებელ ბრძოლის გზაზე, გაიტაცებს ხალხს პარიზის ქუჩებში სასახლისაკენ ქალაქის საბჭოსაკენ და ამ დროს, უცებ ბურჟუაზიული ქვეყანა თავისი უხამსი ადვოკატებით, ჟულიკებით ჩაერევა საქმეში სწორედ ისე, როგორც ეს მოხდა ჩვენში და ღრმა რადიკალური რევოლიუციონური მოძრაობა მახინჯდება ამ მახინჯური სოციალური არევით. ხალხი ისევ ისე დაჩაგრული იწყებს ბრძოლას.

შედეგი.

საფრანგეთის რევოლიუცია არ გამოდგა ისეთი ღრმა, როგორიც მოსალოდნელი იყო ხალხისათვის, იმ ხალხისათვის, რომელიც პირდაპირ იყო დაინტერესებული მთელ მოძრაობაში საფრანგეთის რევოლიუცია ბურჟუაზიის მეოხებით შეეხო მხოლოდ ზოგ ძველ ფორმებს, რომელიც მხოლოდ გარეგანად აღარ შეეფერებოდა ძველ ეკონომიურ რეჟიმს და დაამყარა ახალი პოლიტიკური ფორმა,—პარლამენტარიზმი—რომელიც შეეფერება მხოლოდ ბურჟუაზიულ რეჟიმს.

ხალხი კი, რომელიც ფიქრობდა განთავისუფლებას, რომლისთვისაც დახარჯა უზარმაზარი ენერგია, ისევ იწყებს ბრძოლას, სწორედ იმ თავისუფლებისთვის, რომლისთვისაც მას არა ერთხელ დაუწყია იმედით გულში თავგამოდებული ბრძოლა, ბრძოლა, რომლის შედეგი ყოველთვის მიუთვისებია მის წრეში შემოპარულ პარაზიტებს, ექსპლოატატორებს თვით რევოლიუციისა. ასე დღესაც,

ამნისტია!

სად არის ამის შემდეგ ამნისტია ხალხისთვის, რადგან, სანამ ხალხი არ მოახდენს რადიკალურ გაწმენდას საზოგადოებრივი ატმოსფერისას, სანამ თვით პრინციპი მართველობისა, სახელმწიფოისა, კერძო საკუთრებისა, სახელმწიფო საკუთრებისა არ იქმნება მოსპობილი, სანამ საზოგადოებრივი ცხოვრება იქმნება ისეთი, რომელშიაც კიდევ მოიპოვება ნამცეციც კი, მსგავსებაც კი ძველი ბატონ-ყმური მთავრული, ავტორიტარული ურთიერთობისა, მანამ ხალხი სულ მუდამ იბრძოლებს ხან იდუმალად, მალულად, ხან გამოჩენილად ცხადად და მაშასადამე ცხოვრება იქმნება მუდმივი ბრძოლა, რომელსაც ეჭირვება მუდმივი ამნისტია.

არა!

მიუხედავათ ყველაფრისა ხალხი სანამ არ განახორციელებს იმ სრულ თავისუფლებას, რომელიც ამოძრავებს მას, მანამ ის არ დასცხრება და თუნდ დღეში ათასი, მილიარდ... მილიარდი ამნისტია მისცენ, ... სოდეს არ მისცემს თავისუფ... ჯალათებს ამნისტიას.

ასტრამ მტარვალთათვ...

ამნისტია არ იქნის!

## უნგრეთის წინააღმდეგ მიმარ... ლი დემონსტრაციები ვენა...

არ იქნა და ვერ მორიგდენ მანეთში ავსტრია და უნგრ... რამოდენიმე ათი წელიწადია... მათ ერთმანეთში ხელ-შეკრუ... მგზავსი რამ დადვეს, მას უკან დენჯერმე შეასწორეს და გა... თეს, მაგრამ მიუხედავად ამის... ურთი-ერთი დამოკიდებულება... და-თან უფრო მწვავდება. ეს ... დანვე ყველასათვის ცხადი ... ყოფილიყო, რადგანაც ამ მ... პარაკებას მშვიდობიანი განწყო... ბის დამყარება კი არ ჰქონდა ს... არამედ ერთისაგან მეორეს, გვრა და დამონება. ავსტრიას, გორც გამარჯვებულ მხარეს, რატესობის შენარჩუნება უნდ... ტონის მკაცრ კილოს არ სტ... უნგრელები, ამაყი, თავისუფლ... მოყვარული ხალხია; მთელ უნგ... ში მწარე, თამამი შურის-ძი... ალსავსე კვნესა გაისმის, როცა... ნებენ ავსტრიისაგან რუსეთის მარებით დამონავების დროს; ... ლი უნგრელი ძიძგინს იწყებს, ქო-მის ტანს დანით სერავ...

# ფელეტონი

—

**ა ნ ა რ ქ ი ა**

(ელიზე რეკლიუდან) *).

(გაგრძელება).

თანასწორებთა შორის საქმე რთულდება, მაგრამ მაგიერად ის უფრო მაღალია; აქ საჭიროა მართლის გამუდმებული ძიება, პირადი მოვალეობის ნახვა, შესწავლა თავის თავის შეგნებისა, თავის განვითარების მუდმივი ზრუნვა, თავის ამხანაგების ინტერესების პატივისცემა. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება გახდომა ნამდვილ ზნეობრივ არსებათ, რომელსაც შეუგნია თავისი პასუხის მგებლობა. მაგრამ ამ შემთხვევაში ზნეობა არ არის ზევიდგან ნაბრძანები, ზნეობა, რომელსაც უნდა დაემორჩილოდ; ის აღარ რჩება რაღაც უცხო, გარეგანი, არამედ ადამიანის არსების ნაწილად, ცხოვრების ნაყოფად შეიქმნება. ჩვენ, ანარქისტებს, სწორედ ამ გვარად გვესმის ზნეობა და ნუთუ ჩვენ არ გვაქვს უფლება, კმაყოფილებით შევადაროთ ჩვენი ზნეობრივობა იმას, რომელიც ჩვენ სამკვიდროთ დაგვიტოვა ჩვენმა წინაპრებმა?

ხომ არ ხედავთ, რომ მე მართალი ვარ? მაგრამ, შესაძლოა, ზოგიერთ ჩვენგანმა სთქვას, რომ ეს ხიმერაა? მე მოხარული ვარ, რომ თქვენ მაინც ხედავთ, რომ ეს კეთილშობილი ხიმერაა! მაგრამ მე კიდევ შორს მივდივარ და ვამტკიცებ, რომ ჩვენი იდეალი, ჩვენი შეგნება ზნეობრივობისა ისტორიულად ლოგიკურია და პირ და პირ გამომდინარეობს კაცობრიობის ევოლიუციისაგან.

უცნობის წინაშე შიშმა და გრძნობამ საკუთარი სისუსტისა მიზეზების კვლევაში აიძულა კაცები, შორეულ წარსულში, შეექმნათ ერთი ან რამოდენიმე დამხმარე (услужливый) ღმერთები, რომლებიც ერთ და იმავე დროს წარმოადგენდნენ მეტ ან ნაკლებ განსაზღვრულ იდეალსაც მაშინდელ ადამიანებისას და სიმძიმის ცენტრს მთელი საიდუმლო ხილული და უხილავი ქვეყნის. ფანტაზიის ეს ნაწარმოებნი, რომლებიც მინიჭებული არიან ყოვლად შემძლეობით, შეიქმნენ აგრეთვე ადამიანისთვის სამართლიანობის და მპყრობელობის საფუძვლებად; ამ ზეციერ მეუფებას, რასაკვირველია, ჰყავდათ თავიანთი შუამავლები მიწაზე, მაგალითებრ მოგვები, წარჩინებულნი, მხედართ მთავარი, რომლების წინაშე ადამიანები ჩვეულებრივად ქედს იხრიდენ, როგორც უმაღლესი არა მიწიერი მეუფების. ეს ლოღიკურიც იყო; მაგრამ ადამიანი საზოგადოთ მეტს ცხოვრობს ვინემ მისი ქმნილება და ამიტომ ეს ღვთაებანი მუდამ იცვლებოდენ, როგორც დაუბოლოვებელ სივრცეში გატორცხნილი აჩრდილები: დასაწყისს ისინი რჩებოდენ ხილული და მინიჭებული ჰქონდათ მძლავრი ადამიანური ვნებები, მაგრამ თანდათან მიიმალენ სივრცეში; შემდეგ გადაიქცნენ განყენებულ მცნებებათ, მაღალ და მშვენიერ იდეებად, რომლებსაც საკუთარი სახელიც კი არ ჰქონდათ და, ბოლოს, თანდათან შეერთვენ მსოფლიო კანონებს; ისინი შევიდნენ იმ ქვეყანაში, რომლის შექმნას უწინ მას მიაწერდნენ და ეხლა ადამიანი უმათოდ ერთი იმყოფება მიწაზე, თვით იმ მიწაზე, რომილზედაც კაცმა თითქმის აავო უზარმაზარი ხატება ღვთაების.

ღვთაების გაქრობასთან ერთად, გამკრთალდა ბრწყინვაც იმათი, ვინც მისგან იღებდა უფლობას და იძულებული გახდნენ თანდათან შერეულიყვნენ დანარჩენ ადამიანების რიგში და ცდილიყვნენ ახალ პირობებთან შეგუებას. ჩვენ დროში აღარ შეიძლება ისეთი თემურლენგის ნახვა, რომელიც უბრძანებდეს თავის ორმოც ჯარის კაცს კოშკიდგან ძირს გადავარდნას, იმ იმედით, რომ ის იმ წამსვე დაინახავს ძირს ორმოც სისხლში მოსვრილ გვამს. აზრის თავისუფლებამ ყველა ადამიანები გადააქცია შეუგნებელ ანარქისტებად. ვინ არის ისეთი, რომელიც ეხლანდელ დროში არ ინახვიდეს თავის ტვინის პატარა კუთხეს მ... მსჯელობისათვის, აზროვნებისა... აი ამაში შესდგება ის უდიდესი ... ნაშაული, დანაშაული, რომე... სიმბოლიურად ითქმის კეთილი... ბოროტის ხის, შეგნების ნაყო... აი რატომ მუდამ მეცნიერება სძ... და ეკლესიას. აი რატომ იყო ... ტანელი ნაპოლეონისთვის, ამ ... ლი დროების თემურლენგისთ... იდეოლოგები.

მაგრამ იდეოლოგები მაინც გ... ჩნდენ.

ამათ შეუბერეს სული და გაქუ... ტეს ძველი ილლიუზიები, როგო... მტვერი და დაიწყეს ხელახალი ... დაკეთება მთელი მეცნიერების ... და დაკვირვების საფუძველზე. ... მა მათგანმა, ნიჰილისტმა არა ... ნი დროის, ანარქისტმა, ქე მაინ... სიტყვით, დაიწყო იმით, რომ ... ჰყო ყველაფერი, რაც უწინ ას... ლეს მას და ეხლანდელ დროში ... არის ისეთი მეცნიერი, ისეთი ... ტერატორი, რომელიც არ აცხა... ბდეს, რომ ის თვითონ თავისი ... რების ორიგინალური შემქმნე... და თავისი მორალის მორალი... „თუ გინდა ადგე—ამბობს გიოტე... ადექი თვითონ“. ის კი არა მხო... რებიც კი ცდილობენ გადმოგვ... ბუნება ისე, როგორც თვითონ ... დავენ, გრძნობენ და იგნებენ. მა... თალია, რომ ამ დამოუკიდებლობა... ისეთი ხასიათი აქვს, რომ შესაძლ...

*) იხ. მუშა № 1.

როცა ის იგონებს შემდეგნაირ რაპორტებს: „უნგრეთი სძევს თქვენ იმპერატორებით უდიდებულესობის ფეხ-ქვეშ!“ ყოველ უნგრელს მხოლოთ კოშუთისა და დეაკის გახსენებაზე სიამოვნებით უფართოვდება მკერდი, მხოლოდ მათი გმირული, მებრძოლი სული დასტრიალებს უნგრელების თავზე გასამხნევებლად და „წმინდა ვენდეტას“ ცეცხლის გასაძლიერებლად. ეს გარემოებაა პირველი სხვა მიზეზებთა შორის, რომ უნგრეთში ამდენი ხანია სოციალიზმმა ფეხი ვერ მოიკიდა; ვინც ჩაუკვირდება დღევანდელ პოლიტიკურ მოძრაობას უნგრეთში, მისთვის ცხადი იქნება, რომ იქ სოციალიზმი ვერც დღეს მოიკიდებს ფეხს, თუ გინდ რომ დაიწყოს თავისი მოღვაწეობა ჩვენმა განსწავლულმა და დიდად გამოცდილმა სოციალ-დემოკრატიამ. ამ წინადღეებში მომხდარი დემონსტრაციები ვენაში უფრო დააცილებენ უნგრელებს და ავსტრიელებს ერთმანეთს.

აი, როგორ შეხვდენ ნემეცური გაზეთების სიტყვით, უნგრეთის დელეგატებს ვენაში: „როდესაც შეიკრიბა ათასობით ხალხი, რომლის უმეტეს ნაწილს ქალები შეადგენდენ, ქალაქის საბჭოს შენობის წინ, ქრისტეს-სოციალიზმის წარმომადგენლებმა დეპუტატებმა წარმოსთქვეს სიტყვები უნგრეთის წინააღმდეგ; ამავე დროს უნგრეთის ნაციონალურ ტანისამოსში ერთი მეტრის სიგრძე „კუკლა“ მოიტანეს და ჩამოკიდეს ფარანზე. დოქ. ლუეგერიც გამოვიდა საბჭოს წინ, მოითხოვა „კუკლის“ ჩამოღება და განაცხადა, რომ მანამდე გაგრძელდება აქ ეს კრება, სანამდე უნგრეთი არ დატოვებს ვენასო. ერთი ნაწილი ხალხისა დაიძრა და წავიდა შენობისაკენ, სადაც უნგრეთის სამინისტრო იმყოფებოდა და სადაც მაშინ სხდომა ჰქონდათ. აქ სამი ათასი იქნებოდა შეკრებილი. ყვიროდენ: „ძირს უნგრეთი“! ქიშკარი დაკეტეს, გამოვიდენ და გადახედეს ხალხს, კოშუთმა, ვეკერლემ და ზიჩმა, მაგრამ მალე ისევე დაბრუნდენ.“

შემდეგ ტელეგრამები გადმოგვცემენ, რომ დანები, ჯოხები და ქვები დაუშინეს შენობას. უნგრეთის პრესის უფროსი კინაღამ ნასროლი დანით დასჭრესო.

ნეტა, როგორ მოიქცევა ამ ინციდენტის გამო ს.-დემოკრატია: გაზეთებში გამოაცხადებს პროტესტს, თუ დემონსტრაციას მოახდენს ქუჩაში?! ორივე შემთხვევაში უნგრელი ხალხის გულს ვერ გამოაბრუნებენ. ან სად იყო ს.-დემოკრატია მაშინ, როცა ერთი ნაწილი ვენის პროლეტარიატისა, ამოხოცვას უპირებდა ბუდაპესტიდან მოსულ დეპუტაციას?!

არ ვიცი როგორ, მოიქცევა ადლერი თავის ცენტრალურ კომიტეტით, პლეხანოვი კი უთუოდ სხდომას მოახდენდა იულიანოვ-მარტოვ-მარტინოვ-ზასულიჩების თანა დასწრებით და ანუგეშებდა დაახლოვებით შემდეგ შინარსიანი რეზოლიუციით: ვწუხვართ მის გამო, რაც მოხდა, მაგრამ არა უშავს-რა ეს ხომ სოციალ-დემოკრატიას პროლეტარიატის ერთად-ერთი ნამდვილ წარმომადგენელს არ უქნია, ეს მოიმოქმედა ჩვენ პარტიაში არ მყოფ პროლეტარიატმა, და ასეც იქნება, სანამ არ დამყარდება და არ გამტკიცდება სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო. მანამდე არ გაბედოთ და არ მოისურვოთ განცალკევება, თუმცა კიდევ ბევრჯელ მოგარტყან. სოციალ-დემოკრატიის პარტიის მონდობილობით გ. პლეხანოვი.

P. S. თუმცა ამ ჟამათ აქ ჟენევაში არ არის წარმომადგენელი კავკასიიდან, მაგრამ ვიცი მათი ხასიათი, ჩემ წინააღმდეგ არ წავლიან ისინი და უთუოდ ხელს მოაწერენ ამ რეზოლიუციას დაუფიქრებლათ (ხელს აწერს იგივე გიორგი.)

უთუოდ ასე მოიქცეოდენ ს.-დემოკრატების ლიდერები, რომ ის, რაც ვენაში მოხდა, ჩვენში მომხდარიყოს. მაგრამ ამითი ვინ უნდა დააკმაყოფილონ, ჩვენებურ წვრილფეხა მართლმადიდებელ მარქსისტების გარდა.

დონ-ჯან.

## მატეო მორრალესი და ისპანიის ანარქისტები.

ამ რამოდენიმე წლის წინათ თითქმის არაფერი ისმოდა რუსეთის პრესსაში დასავლეთ ევროპის ანარხისტების მოქმედების შესახებ, მხოლოდ აქ-იქ თუ შეხვდებოდა კაცი გაზეთების მეოთხე გვერდზე სადღაც კუნჭულში მოთავსებულ ტელეგრამას, რომ ამა და ამ საათზე ერთმა ბოროტ-განზრახველებმა, რომელმაც თავის თავს ანარხისტი უწოდა, ყუმბარა ესროლა მირონცხებულ ხელმწიფეს, მაგრამ წყალობითა ღვთისითა ხელმწიფე გადარჩაო. ასე სწერდა ლეგალური პრესსა, არალეგალური ლიტერატურა, ნამეტურ სოც.-დ. ამასაც კი უქცევდენ გვერდს. თუკი ხანდისხან იძულებულნი იყვნენ, რამე კომმენტარიები მიემატებიათ მშრალ ტელეგრამებისათვის, ყოველთვის ახსნა იმაში მდგომარეობდა, რომ ანარხისტების მოქმედება მხოლოდ ერთად მეფეთა და წარჩინებულ პირთა ხოცვა-ჟლეტაში გამოიხატება და თანაც მათი პარტია შეადგენს ერთი მუჭა პატარა ჯგუფს, ფანტასტიური იდეით მოცულს და ხიმერიულ პროექტით შეპყრობილს. განვლო დრო საქმის ვითარება შეიცვალა. ამ უკანასკნელ ხანებში ბლომად გამოდიან სხვა-და-სხვა ანარხისტული წიგნები და ბროშიურები. ხალხში აღიძრა სურვილი ანარქისტულ მოძღვრების

ზელია მას დავარქვათ „არისტოკრატიული ანარქიზმი“, რადგან ის თხოულობს თავისუფლებას მხოლოდ რჩეულთათვის, იმათთვის ვინც შედის პარნასში. თვითეულ მათგანს უნდა სრულიად თავისუფლად იაზროვნოს და ეძიოს დაუბოლოვებლობაში ის იდეალი, რომელიც მას უფრო მოსწონს, მაგრამ ამავე დროს მიაჩნია, რომ „საჭიროა სარწმუნოება ხალხისთვის“, მას უნდა სავსებით დაუმოკიდებლად იცხოვროს, მაგრამ ფიქრობს, რომ „მორჩილება ქალის ხვედრია“; მას უნდა შექმნას ორიგინალური ნაწარმოებნი, მაგრამ მისი აზრით, ბრბო, რომელიც ირევა იქ, ძირს, უნდა იყოს, როგორც მანქანა, დამორჩილებული შრომის განაწილების საზიზღარი ფუნქციისაგან. მაგრამ, გემოვნების, აზროვნების ამ არისტოკრატებს არ ჰყოფნით უკვე ძალა ჩაკეტოს დიდი საგუბარი, საიდგანაც მომდინარეობს ნაკადული. თუ მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება შეიქმნენ ანარქისტული, თუ ყოველი პროგრესსი, ყოველი ახალი ფორმა მშვენიერების დავალებულია თავის არსებობით აზრის თავისუფალ განვითარების წინაშე, მაშინ ეს თავისუფალი აზროვნება მუშაობს აგრეთვე საზოგადოების დაბალ წრეებშიც და არაფერს აღარ შეუძლია შეაჩეროს ეს მუშაობა. ეხლა უკვე გვიანღაა ნაკადულის შეჩერება.

ნუ თუ მოკრძალების შემცირება არ არის თანამედროვე საზოგადოების უმეტესად დამახასიათებელი მოვლენა? კარგა ხანია მას აქეთ რაც შემთხვევა მქონია დამენახა, როგორ ათასი კაცის ბრბო მიაწყდებოდა რომელიმე დიდ ბატონის ცალიერ კარეტას. ეხლა ამას უკვე აღარ ვხედავ. არა არის ბევრი ხანი მას აქეთ რაც ინდოეთის პარტიები კეთილმსახურად გაჩერდებოდენ ას თუთხმეტი ფეხის ნაბიჯზე, რომლებიც კანონით შორავდა იმათ ამაყი ბრამინისაგან: მას შემდეგ რაც კაცებმა დაიწყეს თავის მოყრა რკინის გზის სადგურებზე, მათ შორის დგას მხოლოდ თხელი კედელი სადგურის ზალის. რასაკვირველია დაქვეითების და შინა ყრმის დამცირების მაგალითები ეხლაც ბევრია, მაგრამ მიუხედავად ამისა, თანასწორობის იდეის პროგრესი აუცილებელია. ეხლა, სანამ თავის პატივის ცემას გამოსთქმიდენ, ადამიანები თავის თავს ხშირად ეკითხებიან: არის თუ არა მართლა ესა და ეს კაცი ან ესა და ეს დაწესებულება დამსახურებული პატივის ცემას. დიდებულობის რწმენა გაქრა და მასთან უნდა გაჰყვეს ყველა ის დაწესებულებანი, რომლებიც მაზეა დამყარებული. სახელმწიფოს მოსპობა მჭიდროდ არის დაკავშირებული თაყვანების მოსპობასთან.

შეუბრალებელი კრიტიკა, რომელშიდაც ეხლა ატარებენ სახელმწიფოს, არ იბრალებს აგრეთვე ყველა დანარჩენ სახელმწიფოებრივ დაწესებულებას. ხალხს უკვე აღარ სწამს ნაკურთხი ჩამომავლობა კერძო საკუთრების, რომელიც, როგორც ეკონომისტები ამბობდენ (ეხლა უკვე ველარ ბედავ ამის თქმას) არის ნაყოფი პატრონის პირადი შრომის. ხალხმა იცის, რომ პირად შრომას არასოდეს არ დაუგროვებია მილლიონები მილლიონებზე, და რომ ამგვარი საოცარი გამდიდრება ცუდი საზოგადოებრივი წესწყობილების ნაყოფია, წესწყობილების, რომელიც ანიჭებს ერთ ადამიანს ათასი სხვა ადამიანების შრომის ნაყოფს; ხალხი მუდამ პატივს სცემს პურს, რომელიც მუშამ თავისი ოფლით მოიპოვა, ქოხს, რომელიც მან თავისი ხელებით აიშენა, ბაღს, რომელიც თვითონ გააშენა, მაგრამ ის უეჭველად დაეთხოვა ყველა ცრუ შეძლებას, რომლებიც შესდგებიან ყველანაირ ფასიან ქაღალდებისაგან, რომლებიც ბანკებში არიან შენახული. დადგება დღე, მე ამაში ეჭვი არა მაქვს, როდესაც ის გულდამშვიდებულად დაიბრუნებს ყველა ნაწარმოებს საერთო შრომისა: მადნებს; მამულებს, ქარხნებს, სასახლეებს, რკინის გზებს, ხომალდებს თავისი ტვირთით. როდესაც ბრბო, „ფლიდი ბრბო“, რომელიც გახდა ამ გვარი თავისი გაუნათლებლობის და მისი ფატალური ნაყოფის გამო—შინაყმობის, შესწყვეტს დაიმსახუროს შეურაცმყოფელი ზედმეტი სახელი, რომელსაც მას სახეში ესვრიან, როდესაც ეს შეიგნებს, რომ პატრონობა ამ უზარმაზარი ქონების დამყარებულია განსაკუთრებულად ნაწერ ფიქციებზე, ლურჯი ქაღალდების რწმენაზე, მაშინ თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილება იქმნება დიდ განსაცდელში. როგორ უშვერობად, როგორი უაზრობად ეჩვენებათ ჩვენ შთამომავლობას უგნური ყვირილი, რომლითაც სდევნიან ახალის მომხრეებს! რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის მთელ ტალახს რომელსაც ჩვენ გვასხამს გასასყიდი პრესსა რომელიც დავალებულია გადაუხადოს თავისი პროზით ის ფულით დახმარება რომელსაც ის იღებს! რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის იმ შეურაცყოფას, რომლითაც სავსებით გულწრფელად გვაჯილდოვებენ ჩვენ თვით ის კეთილ-მსახური, წმიდანი, მაგრამ „სადა“ ადამიანები, რომლებსაც მოჰქონდათ შეშა ივანე გუსის კოცონისათვის! ის მოძრაობა, რომელმაც ჩვენ მოგვიცვა დემაგოგების საქმე კი არ არის ან საწყალი ოცნებით მოცულების, არამედ მთელი საზოგადოების თავის სისრულეში; ის ეხლა საჭიროებათ გადაიქცა, აზროვნების წინსვლის გამო, რომელიც შეიქმნა აუცილებელი, დაუმშვიდებელი, როგორც დედამიწის და ციურ მნათობთა ბრუნვა.

გალნობისა და პრესსაშიდაც შეუძლებელი შეიქნა ანარქისტული მოძრაობის მიყრუება ჩვენში. ესევე ‘ითქმის გერმანიის და ავსტრიის პრესსის’ შესახებაც. ამ ორ სახელმწიფოში ვინ გინდა რომ არ ემტერებოდეს ანარქიზმს; კანცლერ ბიულოვიდან დაწყებული და გათავებული შემარცხენეთა მამამთავრით ბებელით ყველა პარტიების წარმომადგენლებს ზაფრის ქარი მოსდისთ ანარქისტების სახელის ხსენებაზე და რაღა თქმა უნდა ცდილობენ რაც შეიძლება ძვირათ გაიხსენონ მათი მოქმედება, ურჩევენ თავიანთ მომხრეებს ანარხისტულ ლიტერატურას და გაზეთებს ხელში ნუ აიღებთო. მიუხედავათ ამ სიძულვილისა ახლა იქაც იძულებული შეიქნენ ანგარიში გაუწიონ ანარქისტულ მოძრაობას, სწერონ მოწინავე წერილებიც კი. ეს გარემოება კი სხვათა შორის ანარქისტების სასარგებლო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. მოგეხსენებათ, რომ ისპანიის მეფეს ალფონს XIII-ეს ოთხჯერ მოუნდომეს მოკვლა ოთხჯერვე ბურჟუებს და უფლებების მქონეთ ფერი ეცვლებოდათ ხოლმე, შეშფოთდებოდნენ და მალე ისევე გარყვნილების წუმპეში ჩაეშვებოდნენ, მხოლოდ ამ უკანასკნელმა მატეო მორალისაგან ნასროლმა ყუმბარამ ისე მაგრათ შეურყია მათ ტვინი და ისეთი თავზარი დასცა საზოგადოთ ყველას, რომ აურ-ზაურის ბოლო ჯერ არსადა სჩანს. წერილი წერილზე იბეჭდება ნემეცურ პრესსაში, მოწინავე წერილების ავტორები იკვლევენ, თუ როგორ პირობებში მოხდა ყუმბარის გასროლა, ვინ იყო თვით მატეო მორალესი, რომელ სახელმწიფოს ანარხისტებთან აქვს კავშირი ამ ფაქტს და ნამეტურ, რა ძალა აქვსთ ისპანიაში ანარხისტებს. ისპანიის ანარხისტების ძალის აწონ დაწონვა იმ გარემოებამაც გამოიწვია, რომ მადრიდის ქალაქის საბჭოს ,,წევრებმა - სოციალისტებმა'' დაახლოვებით შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს—დიდათ ვწუხვართ, რომ ამდენი უდანაშაულო მსხვერპლი იქმნა საჭირო, მხოლოდ ვწუხვართ აგრეთვე, რომ მეფე გადარჩა. ,,უმეტესობა ისპანიის ანარხისტებისა, ამბობს ერთი საზღვარ გარეთელი გაზეთი, ნახევარ კუნძულის სამხრეთ და ჩრდილოეთის ანარხისტებია. ისინი ზოგიერთ შემთხვევებში განირჩევიან ერთი ერთმანეთისაგან. კატალონიის ანარხისტი არ არის ნამდვილი ისპანიელი, მის ძარღვებში ბლომათაა სამხრეთ-ფრანგის სისხლი. ბევრი წელია მას აქეთ, რაც კატალონიელები უდგიან სათავეში ანარხისტურ მოძრაობას ჩრდილოეთ ისპანიაში ნამდვილად ისინი არიან პასუხის მგებელნი ყველა იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც კი მოხდა ანარხისტების სახელით. სცადეს ბევრნაირათ ანარხიზმი კატალონიაში აღმოეფხვრათ. მაგრამ ტყუილი გამოდგა ცდა! პირიქით ამით იქ ანარხიზმის ძალა დღითი დღე იზრდება. ასე, რომ დღეს კატალონიაში უფრო მეტი ანარხისტები არიან, ვიდრე სხვა რომელიმე ევროპის პროვინციაში, რომელიც უდრის თავის სიდიდით კატალონიას'' მთელი ისპანიის მოედო ანარხისტული მოძრაობა, მთელ ისპანიას კაი ხანია დასტრიალებს თავზე რევოლიუციონური სული და ამხნევებს მაშვრალთ, მთელი ისპანია კაი ხანია შეიქნა თითით საჩვენებელ მხარეთ, რომელმაც გამოიჩინა ძრიელი უნარი ბრძოლისა, მხოლოთ ამ ბრძოლის დამამშვიდებელ კუთხეებათ უნდა იქნენ ჩათვლილნი კატალონია და ანდალუზია, კატალონია უფრო მაღლა სდგას ანდალუზიაზე, როგორც განათლებით ისე ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებით.

მატიო მორრალესი, რომელმაც ესროლა ყუმბარა ალფონს, როგორც გამოირკვა, კატალონიელია. საზოგადოთ კატალონიამ მიიღო თავის თავზე წმინდა „ვენდეტას“ ასრულება და დღესაც მედგრათ ასრულებს თავის მოვალეობას. ისპანიის ამ კუთხის მაგალითმა, რასაკვირველია, გონებაში ვერ ჩააგდო მთავრობა და ბურჟუაზია, ისინი შეუდგენ საძსრის გამონახვას, თუ როგორ მოსპონ ანარქისტული მოძრაობა, როგორ ჩააქრონ ანარქისტული ტაქტიკა ბრძოლისა „პროპაგანდა მოქმედებით“. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ სახელმწიფოები უკვე შესდგომიან საქმეს. ადვილი წარმოსადგენია, რომ რუსეთშიაც დუმა, სოციალ-დემოკრატია და საზოგადოთ ბურჟუაზიული პარტიები ეცდებიან რეპრესსიულ ზომებს მიმართონ ანარქისტების წინაამდეგ. ჩვენ ყველგან მოგვიხვდება ორ ფრონტზე ბრძოლა, ეს სრულებითაც არ გვაშინებს, თავგამოდებულ ბრძოლას ჩვენი ამხანაგებისას დასავლეთ ევროპაში საუკეთესო გამამხნევებელ მაგალითად წავიმძღვანიებთ წინ და აღსავსე დამაამებელ იმედებით და ჩვენი მოძღვრების სრული სიმართლით, აღტაცებით გავექანებით ჩვენ იდეალისაკენ. თქვენ კი იქნება მადლობაც გადაგიხადოთ ბურჟუებს და უფლებების მქონე, მტარვალნო, საზიზღარ მოქმედებისთვის ჩვენ წინაამდეგ! ჩხრიკეთ, ჩხრიკეთ ახალ-ახალი კანონები ანარქისტების წინაამდეგ; იქნებ ამ ჩხრეკით ხალხის მოთმინება უკიდურეს ზომამდე მიიყვანოთ და მოგვიახლოვოთ ის სანეტარო მომენტი, როდესაც გალლის მამალი თავის ყივილით მოგვცემს ნიშანს უდიდესი დრამის დასაწყებათ—სოციალური ცხოვრების სოციალისტურათ გარდასაქმნელათ. ვიმეორებ, ამ შემთხვევაში ჩვენ მადლობას გიძღვნით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის ძრიელ საწყენია იმ ასზე მეტი ქალ-კაცის სიკვდილი, რომელნიც იმსხვერპლა მატეო მორრალის ყუმბარამ. მაგრამ რა გაეწყობა. ამასაც უნდა შევეჩვიოთ, რადგანაც ასეა ყოველთვის—სიკვდილი შობებს სიცოცხლეს; თავისუფლება, როგორც ნამდვილი მჩქეფარე სიცოცხლის მამასწავებელი იდეალი, თხოულობს სისხლს... სიკვდილს... მხოლოდ განხორციელებული ანარქისტული წეს-წყობილება გადისვრის შორს სისხლით შეღებილ მოსასხამს ამოგლეჯს ადამიანს გულიდან მტრობას, შურს, გასწმენდს სისხლითა და ცრემლით გაჟღენთილ მიწას და დაამყარებს წმინდა შრომას, სიყვარულს, ნამდვილ ძმობას და სათნოებას.

დონ—ჯან.

## ახალი ამბავი

გაიფიცენ ტრამვაის მუშები. მათ წარადგინეს ეკონომიურ ხასიათის მოთხოვნილებები ამასთანავე გაფიცულები თხოულობენ, რომ ყველა ამხანაგები რომელნიც ამას წინათ დაითხოვეს, უკანვე იყვნენ მიღებულნი.

— როგორც გადმოგვცეს არსდება კავშირი თბილისის მზარეულთა და ლაქიათა. ამ მოკლე ხანში მათ საერთო კრება ექნებათ.

— თფილისის ქუჩებში გენერალ-გუბენატორის ტიმოფეევის შემდეგი შინაარსის განცხადებაა გაკრული. რადგან ამ ჟამათ გენ.-გუბ. თავის საგენერალგუბენატოროში მისი იმპერატორობით უდიდებულესობის წარმომადგენელია, საჭიროა მცხოვრებლები მის წინაშე ქუდს იხდიდენ და ფეხზე წამოდგენ ხოლმე, როცა იგი ქუჩაზე ან საზოგადო საკრებულოებში გამოჩნდება. (ლამპ.)

— სოფელ სკრის (გორის მაზრა) მახლობლად სამ სტრაჟნიკს მოუკლავს წითელი რაზმელი პეტრე, როდესაც თავის ამხანაგებით ლიანდაგის ახლოს ძჯდარან, მოულოდნელად ,,სტრაჟნიკები'' თავზედ დასხმიან და სროლა აუტეხიათ. ზოგს გაქცევა მოუსწვრია, ხოლო ერთი მათგანი პეტრე კი მოუკლავთ.

— ხაშურიდან გვატყობინებენ, რომ იქაური სოც.-დემოკრატები უკრძალავენ ხალხს ჩვენი გაზეთის კითხვას.

— 9 ივნისს ღამე, ფელდესიევის ქუჩაზე, თბილისის მოქალაქეს ივ. სულხანოვს და სოფ. ახალქალაქის მცხოვრებ გლეხს, ალექსანდრე ტატანაშვილს, ჩხუბი მოსვლიათ, რის დროსაც უკანასკნელმა დანით მძიმედ დასჭრა პირველი, დამნაშავე დაჭერილია.

— ორშაბათს 10 საათიდან დანიშნულია საერთო კრება უმუშათო დარჩენილი თბილისელი მუშებისა. კრება მოხდება ქალაქის საბჭოს [...]რებულოში.

— ერევნიდან ისევ სამწუხარო [...]ბები მოდის. 8 ივნისს [...] ნახლებულა სომეხ-თათართა ხ[...]ქლეტა. ამბობენ 10 კაცია მ[...] და ბევრიც დაჭრილები არიან.

— როგორც ფოთიდან „შრ[...] ატყობინებენ 9 ივნისს [...] დროს ჩამოუხრჩვიათ მიგინეიშვ[...] რომელსაც პლოხოტნიკოვის [...]ვლას აბრალებდენ. ნამესტნ[...] ეპისკოპოსის შუამდგომლობა [...]ჯელის შეცვლის შესახებ, არ [...]წყნარებია.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ წერილს დაუთმოთ ადგილი თქვენს [...]ზეთში.

როგორც გვესმის ქალაქელი [...] ცვა-გლეჯის შესახებ, არიან რამდენ[...] ავაზაკები, რომელნიც, რომ[...] ჯგუფის ბლანკებით ფულს აგროვებ[...] ამის შესახებ, „ინტერნაციონალის“ [...]შათა სინდიკატი ამით აცხადებს, [...] მათ არა აქვთ არავითარი ფულის საგროვებელი ბლანკები და არც [...] იგინი ბლანკებით ფულის მოსაგროვ[...]ლად, რადგანაც, იგინი უარს ჰყოფ[...] პრინციპიალურად ამის თანა ბლანკე[...] ფულის შეგროვება.

„ინტერნაციონალის“ მუშათა სინ[...]კატი სთხოვს საზოგადოებას, [...] ვინც ტყუილ „ინტერნაციონალ[...] ბლანკებით მივლენ ვისმესთან ფულ[...] სათხოვრათ, არ შეიწყნარონ ასეთ[...] ცრუ ავაზაკები.

ჯგუფი მუშათა სინდიკატისა „ინტერნაციონალი“.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშები სააგენტო).

**ხარკოვი.** გუბერნატორმა მი[...]ლო მოხსენება საოლოსტო გამგე[...]ბაზედ დაცემის შესახებ ლებედინ[...]ში. ბოროტ-გამზრახველებს მოუ[...]ლავთ სტოროჟები, წაუღიათ ფუ[...]ლი და მიმალულან.

**კიევი.** სამხედრო საოლქო ს[...] სამართლომ განიხილა რა საქმე დ[...] ხურულ კარებში გლეხების რაკო[...]ვის, სტრელცის და კასტუკოვის, რომლებსაც ბრალდებოდათ ამაფეთ[...]ქებელი მასალის დამზადება და ნე[...]ბადაურთველი ლიტერატურის გავ[...]რცელება, მიუსაჯა პირველ ორს ოთხი წლის კატორღა, უკანასკნელს კი რვა თვის ციხეში ჯდომა

რედაქტორ-გამომცემელი

**მიხეილ დიასამიძე.**

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა, სახ. № 3.